გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №10

11 აგვისტო, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი.

ესწრებოდნენ: ალ. სირბილაშვილი, ვ. ელიზბარაშვილი, გ. ენუქიძე, ლ. გაბიტაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ივ. ნატროშვილი, ე. ბოკუჩავა, მ. ძამუკაშვილი, ი. ჩიტაშვილი, მ. მუღალაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ზ. ბადრიაშვილი, ვ. მამისაშვილი, მ. ჩიბარაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
ნ. ქაჩლიშვილი – გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმის დამტკიცების შესახებ.
/ნ. ქაჩლიშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.
/ნ. ქაჩლიშვილი/

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ბეჟაშვილის ადგილმონაცვლედ ალექსანდრე ყვირალაშვილის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.
/დ. გოგებაშვილი/

5. ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
/ლ. ჩიტოშვილი/

6. ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის მიღების შესახებ.
/ლ. ჩიტოშვილი/

7. სხვადასხვა.

ზ. იაგანაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დაემატება კიდევ ერთი საკითხი. კერძოდ, „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია – „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარედ ალექსანდრე ინანაშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგად, ერთხმად
დაადგინეს:
სხდომამ იმუშაოს აღნიშნული დღის წესრიგით შეტანილი დამატების გათვალისწინებით.

მოისმინეს:
1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

ნ. ქაჩლიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ძირითადად, ბიუჯეტში მოხდა თანხების შიდა გადანაცვლება. ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხარჯებში. კერძოდ, გაიზარდა საკრებულოს ხარჯები გამომდინარე იქიდან, რომ საჭირო გახდა ხელშეკრულების გაფორმება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“-თან, ხოლო გამგეობის ხარჯები კი შემცირდა.

კენჭი უყარეს,
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/ (ნ. მურაკაშვილმა აღნიშნა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.)

მოისმინეს:
2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმის დამტკიცების შესახებ.

ნ. ქაჩლიშვილმა სხდომის წევრებს წარმოუდგინა მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 ივლისის №4 ბრძანებით „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება.

კენჭისყრის შედეგად, ერთხმად
დაადგინეს:
შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მოისმინეს:
3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.

ნ. ქაჩლიშვილმა სხდომაზე წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების შესახებ (თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2010 წლის

II კვარტლის დაზუსტებული შემოსულობების გეგმა (საქ. ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ფინანსური დახმარების ჩათვლით) შესრულებულია 84,8 %-ით. მან აქვე დასძინა, რომ არაფინანსური აქტივების კლება შესრულებულია 31,0 %-ით.

2010 წლის II კვარტლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების დაფიანნსებისათვის არსებული ფინანსური რესურსების მთლიანმა დაზუსტებულმა მოცულობამ შემოსულობებისა და დეფიციტის დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით შესრულებულია 67,7 %-ით.

აზრი გამოთქვეს:

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი შემოსავლების გეგმა შესრულებულია 308,2 %-ით და რომ, დადებითადაა შესაფასებელი ის ფაქტიც, რომ ბიუჯეტის შემოსულობების ოდენობა პროპორციულია ხარჯვითი ნაწილისა და აგრეთვე, გადანაწილებაც თანაბარია.

ალ. სირბილაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება, რომ მეტად გაკონტროლდეს მუხლობრივად ხარჯვითი ნაწილიც, ისევე როგორც შემოსავლების ნაწილია.

კენჭი უყარეს.

დაადგინეს:

_ ცნობად იქნას მირებული გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2010 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების შესახებ;

_ დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს, გაატარონ სათანადო ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდისთვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების მაქსიმალურად ამოღების ორგანიზებას.

მოისმინეს:

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ბეჟაშვილის ადგილმონაცვლედ ალექსანდრე ყვირალაშვილის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

დ. გოგებაშვილმა წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდა დავით ბეჟაშვილს, მის ადგილმონაცვლედ დარეგისტრირდა პარტიულ სიაში მისი შემდგომი წევრი – ალექსანდრე ყვირალაშვილი.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

მიენიჭოს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ალექსანდრე ყვირალაშვილს.
/მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

5. ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ლ. ჩიტოშვილმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკრებულოს მიერ წარმოებაში მიღებული, ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საკრებულოს მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 7 მაისს გაცემული საკუთრების მოწმობა №398 უნდა ბათილად იცნოს.

კენჭი უყარეს:

დაადგინეს:

დაკმაყოფილდეს ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 7 მაისს გაცემული საკუთრების მოწმობა №398-ის ბათილად ცნობის შესახებ.
/მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

6. ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის მიღების შესახებ.

ლ. ჩიტოშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაშია მისაღები ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 5 ივლისის №2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

კენჭი უყარეს.

დაადგინეს:

მიღებულ იქნას წარმოებაში ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 5 ივლისის №2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია – „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარედ ალექსანდრე ინანაშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ მას შემდეგ, რაც ფრაქციის „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარის უფლებამოსილება შეუწყდა დავით ბეჟაშვილს, ასარჩევი იყო აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარე. ამიტომ, ფრაქციის მიერ მ.წ. 1 აგვისტოს ჩატარებულ სხდომაზე, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე ინანაშვილი.

დაადგინეს:

ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს ფრაქციის „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარედ, მ.წ. 1 აგვისტოდან, ალექსანდრე ინანაშვილის არჩევა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგანაშვილი**